საკანონმდებლო მაცნე

შინაარსი

- უძრავი ქონების მიწოდებისა და მასთან დაკავშირებული სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების გაწევის დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლების მოქმედების ვადის გაგრძელება
- საერთაშორისო აზარტულ ტურნირებში მონაწილეობის შედეგად მიღებული შემოსავლის დაბეგვრის წესი
- საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებისა და ნავთობის სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების კორექტირებისას დღგ-ის თანხების ასახვის წესის ცვლილება
- აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადავადებისა და თავდებობის ხელშეკრულებების ტიპური ფორმების დამტკიცება
- ფიზიკური პირისგან საქონლის შესყიდვის აქტის გამოწერის სავალდებულო წესი

ცვლილება კანონში

უძრავი ქონების მიწოდებისა და მასთან დაკავშირებული სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების გაწევის დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლების მოქმედების ვადის გაგრძელება

2026 წლის 16 ოქტომბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი 1888-VIმს-XIმპ საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. განხორციელებული ცვლილებები ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით შეეხო გარკვეული კატეგორიის (მუხლი 309, ნაწილი 79-ით გათვალისწინებული) უძრავი ქონების მიწოდებას, აგრეთვე ასეთი უძრავი ქონების მიმწოდებლის მიერ მიწოდებულ ქონებასთან დაკავშირებული სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების გაწევას. კერძოდ, აღნიშნული ოპერაციები ექვემდებარებოდა დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებას, თუ აღნიშნული მიწოდება ხორციელდებოდა 2015 წლიდან 2029 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, ხოლო საპროექტო დოკუმენტი/სამშენებლო ნებართვა აღებული იყო 2008 წლის 8 აგვისტომდე. ცვლილების შედეგად შეღავათის ვადა გადაიწია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამგვარი აქტივის მიწოდება დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით კვლავ გათავისუფლდება თუ მისი მიწოდება განხორციელდება 2033 წლის 1 იანვრამდე.

აღნიშნულმა ცვლილებამ თავის მხრივ განაპირობა ზემოთ მოყვანილ ოპერაციებთან დაკავშირებით ხანდაზმულობის ვადების კორექტირება. კერძოდ, მოცემული საგადასახადო შეღავათების საფუძველზე 2015 წლის 1 იანვრიდან 2029 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში განხორციელებული გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციის მიმართ შესაბამისი საანგარიშო პერიოდის სსკ-ის მე-4 მუხლით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადები გაიზარდა 4 წლით.

ცვლილება ძალაშია 2026 წლის 17 ოქტომბრიდან

საერთაშორისო აზარტულ ტურნირებში მონაწილეობის შედეგად მიღებული შემოსავლის დაბეგვრის წესი

2026 წლის 30 ოქტომბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი 1904/5-VIმს-XIმპ საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. შედეგად განისაზღვრა საერთაშორისო აზარტულ ტურნირებში მონაწილეობის შედეგად მიღებული შემოსავლის დაბეგვრის წესი.

ცვლილების თანახმად, სსკ-ს დაემატა საერთაშორისო აზარტული ტურნირის ცნება, რომელიც განსაზღვრულია „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით. აღნიშნული კანონით, საერთაშორისო აზარტული ტურნირი განმარტებულია, როგორც თამაშობა, რომელსაც ატარებს სამორინის მოწყობის ნებართვის მფლობელი კლუბის მაგიდის მეშვეობით, რომლის საპრიზო ფონდი ორგანიზატორის მიერ წინასწარ არის გარანტირებული და რომლის მონაწილეების საერთო რაოდენობის არანაკლებ 80 პროცენტი უცხო ქვეყნის მოქალაქეა.
ასევე, თუ ორგანიზატორი კლუბის მაგიდას იყენებს მხოლოდ იმ საერთაშორისო აზარტული ტურნირის მოწყობისთვის, რომლის საპრიზო ფონდი 3,000,000 (სამ მილიონ) ლარს აღემატება, იგი არ იხდის „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით კლუბის მაგიდისთვის დაწესებულ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელს.

ასევე, განახლდა სსკ-ის 81-ე, 82-ე და 154-ე მუხლები, რომლის მიხედვით ფიზიკური პირის მიერ ასეთ ტურნირში მონაწილეობის შედეგად მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 20%-იანი განაკვეთით დაიბეგრება სამორინის მომწყობის მიერ, ხოლო საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლებას კი დაექვემდებარება უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საერთაშორისო აზარტულ ტურნირში მონაწილეობის შედეგად მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, თუ ტურნირის საპრიზო ფონდი 3 მილიონ ლარს აღემატება.

ცვლილებასთან დაკავშირებით, 2026 წლის 30 ოქტომბერს ასევე გამოქვეყნდა საქართველოს კანონები: 1904/1-VIმს-XIმპ, 1904/2-VIმს-XIმპ, 1904/3-VIმს-XIმპ, და 1904/4-VIმს-XIმპ, რომლითაც განისაზღვრა როგორც საერთაშორის აზარტული ტურნირის მოწყობისა და ნებართვის გაცემის წესები, ასევე მოსაკრებელი და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები.

ცვლილება ძალაშია 2026 წლის 31 ოქტომბრიდან

ცვლილება ბრძანებაში

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებისა და ნავთობის სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების კორექტირებისას დღგ-ის თანხების ასახვის წესის ცვლილება

2026 წლის 1 ოქტომბერს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №306 „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ. შედეგად, განახლდა საფ-ის და ნსაფ-ის კორექტირებისას დღგ-ის თანხების ასახვის წესი.

განხორციელებული ცვლილებით, განახლდა საფ-ისა და ნსაფ-ის კორექტირების დანართები, ასევე 53-ე მუხლის 2^1 პუნქტს დაემატა ახალი „დ“ ქვეპუნქტი, რომლითაც განისაზღვრა საფ-ის კორექტირებისას ელექტრონული ფორმის შესაბამის სტრიქონებში ასასახი მონაცემები. კერძოდ, საფ-ის კორექტირებისას 9.1.1 სტრიქონში უნდა მიეთითოს პირველად/წინა კორექტირების საფ-სა და კორექტირების საფ-ში მითითებულ დღგ-ის თანხებს შორის დადებითი სხვაობა, რაც წარმოადგენს კორექტირების თანხის ზრდას. 9.2.1 სტრიქონში კი უნდა აისახოს აღნიშნულ თანხებს შორის უარყოფითი სხვაობა, რაც წარმოადგენს კორექტირების თანხის შემცირებას.

ცვლილება შეეხო, აგრეთვე, ინსტრუქციის 53^1 მუხლის მე-4 პუნქტს, რომელიც ეხება საფ-ის გამოწერის წესს, როდესაც ხდება მისაწოდებელი საქონლის / გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის / თანხის ნაწილის გადახდა, კერძოდ მოცემულ შემთხვევაში ახალი 7.1 და 7.2 სტრიქონებში აისახება როგორც კორექტირების ზრდის, ასევე შემცირების თანხები.

მსგავსი წესი, ასევე, გავრცელდება კორექტირების ნსაფ-ის გამოწერის შემთხვევაშიც, რომლის დანართსაც ასევე დაემატა ახალი 9.2.1 და 9.3.1 სტრიქონები კორექტირების თანხის ზრდის ან შემცირების ასახვისთვის.

ცვლილება ძალაშია 2026 წლის 1 ნოემბრიდან

აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადავადებისა და თავდებობის ხელშეკრულებების ტიპური ფორმების დამტკიცება

2026 წლის 20 აგვისტოს გამოიცა შემოსავლების სამსახურის უფროსის №18821 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების ხელშეკრულების ორი ფორმა - უზრუნველყოფის საშუალებებით და მათ გარეშე გადავადების შემთხვევებისთვის, აგრეთვე თავდებობის ხელშეკრულების ფორმა.

ცვლილებით, ასევე, განისაზღვრა მოვალისა და თავდების ვალდებულებები, მათ შორის, გადახდის გრაფიკის დაცვის, საგადასახადო ვალდებულებების დროულად შესრულებისა და თავდებობის თანხის 3 სამუშაო დღის განმავლობაში ბიუჯეტის შესაბამის ანგარიშზე განთავსების საკითხები.

ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდა

© BDO

„საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადებისა და თავდებობის ხელშეკრულების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 21 თებერვლის №9836 ბრძანება.

ცვლილება ძალაშია 2026 წლის 20 აგვისტოდან

ფიზიკური პირისგან საქონლის შესყიდვის აქტის გამოწერის სავალდებულო წესი

2026 წლის 27 ნოემბერს გამოიცა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 332 ბრძანება, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.

ცვლილების თანახმად, შემოსავლების სამსახურის უფროსს უფლება აქვს, გადასახადის გადამხდელთა ცალკეული კატეგორიებისთვის ან/და ცალკეული საქონლის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს საქონლის მიწოდების, მოძრაობისა და ნაშთების აღრიცხვის ფორმა და წესი.

ამასთან, თუ კონკრეტულ სამეურნეო ოპერაციებზე დადგენილია აღრიცხვის სპეციალური ფორმა და წესი, აღნიშნული მოთხოვნების დაცვით შედგენილი დოკუმენტი ჩაითვლება შესაბამისი ოპერაციის ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტად და ამ მიზნით დამატებითი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა ამ დებულებით არ მოითხოვება.

აღნიშნული წესი გადასახადის გადამხდელს არ ათავისუფლებს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების შესრულებისა და სხვა სააღრიცხვო დოკუმენტების გამოწერის ვალდებულებისგან.

ცვლილებასთან დაკავშირებით, 2026 წლის 2 ნოემბერს ასევე გამოქვეყნდა შემოსავლების სამსახურის უფროსის №24839 ბრძანება, რომლითაც განისაზღვრა ფიზიკური პირისგან საქონლის შესყიდვისას აქტის გამოწერის წესი, კერძოდ, ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ფიზიკური პირისგან საქონლის შესყიდვისას, გადასახადის გადამხდელი ვალდებული იქნება, შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული გვერდის მეშვეობით ელექტრონულად გამოწეროს შესყიდვის აქტი და უზრუნველყოს მისი გამყიდველი ფიზიკური პირის მიერ დადასტურება.

აქტის გამოწერა სავალდებულო არ იქნება იმ შემთხვევებში, როდესაც შესყიდვაზე გამოწერილია სასაქონლო ზედნადები, ნავთობპროდუქტების სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან საგადასახადო დოკუმენტი, ასევე ხე-ტყისა და რეგისტრაციას დაქვემდებარებული საქონლის შესყიდვისას.

აქტის გამოწერა ნებაყოფლობითი იქნება ფიზიკური პირისგან მომსახურების შეძენისას, სპეციალური დაბეგვრის რეჟიმის მქონე პირებისა ან/და დღგ-ის გადამხდელი ფიზიკური პირებისგან საქონლის შესყიდვისას.

ხაზგასასმელია, რომ შესყიდვის აქტი უნდა გამოიწეროს არაუგვიანეს საქონლის შესყიდვის დღის შესაბამისი თვის მომდევნო თვის ბოლო რიცხვისა. გამყიდველს დოკუმენტის დადასტურების ან უარყოფის შესაძლებლობა ექნება ოპერაციის განხორციელების თვიდან მომდევნო ორი თვის განმავლობაში.

შეგახსენებთ, რომ აქტის გამოწერის წესი მოქმედებს 2026 წლის 1 დეკემბრიდან განხორციელებული შესაბამისი სამეურნეო ოპერაციების მიმართ.

ცვლილება ძალაშია 2026 წლის 1 დეკემბრიდან

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა მიმოიხილავს მნიშვნელოვან საგადასახადო და სხვა საკანონმდებლო ცვლილებებს, მათ პრაქტიკულ ასპექტებსა და აქტუალურ საკითხებს.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

▶ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე.

გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის - "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.
ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.